სს „საქართველოს რკინიგზა” აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების მიზნით.

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:

1.1 ქონების ტიპი: სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთი (შემდგომში „უძრავი ქონება) შემდეგი მონაცემებით:

1.2 საკადასტრო კოდი: 52.01.37.229 და 52.01.37.225;

1.3 ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;

1.4 მისამართი: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო მაჩხაანი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. მაჩხაანი;

1.5 ფართობი: 7529 კვ.მ. და 4451 კვ.მ.

1.6 საწყისი გასაყიდი ფასი - 30 100 ლარი;

1.7 ბიჯი - 750 ლარი;

1.8 „ბე“ – 7 500 ლარი;

1.9 აუქციონის დაწყების თარიღი: ----, 2023;

1.10 აუქციონის დასრულების თარიღი: დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე;

2. აუქციონის არსებითი პირობები:

2.1 წინამდებარე აუქციონის საფუძველზე გამარჯვებული პირი შეიძენს „უძრავ ქონებას“;

2.2 ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებული პირი ვალდებულია გადაიხადოს „ბე“.

2.3 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონის შედეგების გამოცხადებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს აუქციონის შედეგად დაფიქსირებული უძრავი ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონი ჩაითვლება ჩაშლილად და მას არ დაუბრუნდება გადახდილი „ბე“.

2.4 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება უძრავი ქონების სრული ღირებულების გადახდიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, არსებითად დანართის სახით წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტის მიხედვით.

2.5 ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული (შემდგომში „მყიდველი“) ვალდებულია გასწიოს „უძრავი ქონების“ ნასყიდობასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი (მათ შორის სანოტარო საზღაური, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „რეესტრი“) რეგისტრაციის საფასური.

2.6 „უძრავი ქონების“ „მყიდველის“ სახელზე „რეესტრში“ რეგისტრაციისთანავე მასზე სრულად გადადის „უძრავი ქონებიდან“ გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება.

2.7ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე.

3. განსაკუთრებული პირობები:

3.1 „უძრავი ქონების“ ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება ლარში, აუქციონის შედეგად დადგენილი ნასყიდობის ღირებულების გათვალისწინებით;

3.2 „უძრავი ქონების“ ღირებულების (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვის გზით:

მიმღების ბანკი: სს ”საქართველოს ბანკი”;

ბანკის კოდი: BAGAGE22;
ანგარიშის ნომერი GE03BG0000000859804100, ეროვნულ ვალუტაში.

4. ვალდებულებები:

4.1 უძრავ ქონებაზე რაიმე შენობა-ნაგებობის განთავსების შემთხვევაში, უძრავი ქონების მყიდველი ვალდებულია შესაბამისი პროექტი წინასწარ შეათანხმოს სს „საქართველოს რკინიგზასთან“

4.2. მყიდველი ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, სამშენებლო ნორმებით, წესებით და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესებით დადგენილი რეგულაციები, მათ შორის საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების 2.07.01-89 ქალაქმშენებლობის პუნქტების 3.8 და 6.8-ს, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

4.3. მყიდველი ვალდებულია, რეესტრში, უძრავი ქონების მის საკუთრებად რეგისტრაციასთან ერთად მოახდინოს 4.1 და 4.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების რეგისტრაცია (უძრავი ქონების ამონაწერის შესაბამის ველში).

- „უძრავი ქონების“ და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს ”საქართველოს რკინიგზაში”. მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15. ტელ 591 199181.